

ჩვენი ბიბლიოთეკის სიდიდე შვილების წაკითხული წიგნებით იზომება

ავტორი [მაკა ლოკონენი](#)

ყოველწლიურად უამრავი ახალი წიგნი გამოდის, წიგნის მაღაზიები საინტერესო გამოცემებით ივსება, ეწყობა წიგნის, პოეზიისა და ლიტერატურის ფესტივალები, იწერება საგანმანათლებლო პროექტები. ზოგჯერ ბორბალს ლამის თავიდან ვიგონებთ: წიგნის ჩუქების, საჯაროდ კითხვის ტრადიციებს ვამკვიდრებთ; ქართული და უცხოური საბავშვო წიგნის დღეებს ცალ-ცალკე აღვნიშნავთ; ანდერსენის, ლინდგრენის, გოგებაშვილის, „დედა ენის“ დაბადების დღეებს ვზეიმობთ. მთელი ეს ძალისხმევა ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს – უმცროს თაობაში წიგნიერების დონის ამაღლებასა და კითხვისადმი ინტერესის გაზრდას ემსახურება. რაც უფრო მეტი მიზეზი გვქონება წიგნთან შესახვედრად, მით უფრო მეტ კითხვის დროს გამოვტყუებთ ვალდებულებებით დატვირთულ ჩვენს ყოველდღიურ გრაფიკს. მშვენივრად გვაქვს გააზრებული ერთი უტყუარი ფაქტიც, საგამომცემლო საქმის განვითარება, ტირაჟებისა და გაყიდვების ზრდა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლები რომ არის, რეალობას კი ერთი მარტივი წინადადება ასახავს: ჩვენი პირადი ბიბლიოთეკის სიდიდე ყოველთვის შვილების წაკითხული წიგნებით გაიზომება.

როგორ წავაკითხოთ ბავშვებსა და მოზარდებს რაც შეიძლება მეტი წიგნი? – ამ მარადიულ, ლამის რიტორიკულად ქცეულ კითხვაზე პასუხს თავდაუზოგავად დავძებთ მშობლები და მასწავლებლები, არაერთ გამოცდილსა თუ ნოვატორულ მეთოდს მივმართავთ და ვიკვლევთ. მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა, გამომცემლობებიც გვერდში რომ გვიდგანან და საინტერესო საბავშვო სერიებს გვთავაზობენ. „საინტერესო საბავშვო სერიებში“ იმ წიგნებს ვგულისხმობ, გემოვნებიან მკითხველებად რომ აყალიბებს ჩვენს შვილებსა და მოსწავლეებს.

ამ წერილში ერთერთ ასეთ გამოცემაზე ვისაუბრებ: **ქარჩხაძის გამომცემლობის საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიის სერია** ამ ეტაპზე ოთხ წიგნს აერთიანებს. პირველი ტომის შესახებ (შემდგენელი **ლია ლიქოკელი** გახლავთ) ჩვენს ჟურნალში უკვე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „უნებლიე მკითხავიდან წინწყლების ქოხამდე“ <https://mastsavlebeli.ge/?p=18616>. „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიის“ მომდევნო ორი ტომი **დიანა ანფიმიადმა** შეადგინა, მანვე იმუშავა საბავშვო ლექსების კრებულზე, რომლის პრეზენტაციაც მაისის წიგნის ფესტივალზე იგეგმება. მე წილად მხვდა „მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიის“ შედგენა. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა მარმანდელ ფესტივალზე მივიღე, ჩემი მოსწავლეებისთვის მოთხრობების კრებულებს რომ დავეძებდი და ერთი გამომცემლობის სტენდიდან მეორისკენ ვინაცვლებდი.

„მკითხველთა კლუბებში“ დაგროვილმა გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ერთი მოთხრობისთვის გაკვეთილის დათმობა გაცილებით ეფექტურია: ავტორზე ვსაუბრობთ, ნაწარმოებზე ვმსჯელობთ, შესაბამის თემაზე გადაღებულ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ან ანიმაციურ ფილმს ვუყურებთ და რაც მთვარია, მოსწავლეები წაკითხულის მოყოლასაც ასწრებენ (ზოგიერთი ილუსტრაციის დახატვასაც კი ახერხებს). ამიტომაც ვიქეცი „მოთხრობების მაძიებლად,“ ისეთების, მრავალფეროვან თემებზე საუბრისა და ორიგინალური პარალელების გავლების საშუალებას რომ იძლევა.

და აი, ქარჩხაძის გამომცემლობამ საკმაოდ მასშტაბური პროექტი დაგეგმა (სერია ახალი ტომებით მომავალშიც შეივსება). დაგეგმა და განახორციელა კიდეც. ერთი შეხედვით მარტივი საქმე –

კრებულის შედგენა, სარჩევში სათაურების ჩამოწერით როდი შემოიფარგლება. თითოეულ ტომზე უამრავი ადამიანი მუშაობს და ფიქრობს. ფიქრობს მის ხასიათზე, თავისებურებებზე, გარგნობაზე, სტილსა თუ კორექტურაზე. საავტორო უფლებების მოპოვება, ავტორებთან თუ მთარგმნელებთან ურთიერთობა ხომ დამოუკიდებელი „სამყაროა“ და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კრებულის საბოლოო იერსახეზე.

12 აპრილს, „სტამბის წიგნებში“ სერიის ოთხი წიგნი წარვადგინეთ. ჩვენი მოდერატორი გახლდათ **ნათია ფურცელაძე**, რომელიც სწორედ იმ დღეს ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა. საღამოს საინტერესო ადამიანები ნამდვილად არ აკლდა. თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას მთარგმნელები იმსახურებდნენ, უცხოელი ავტორების ელჩებივით რომ ისხდნენ დარბაზში: **ქეთი ღუმბაძე** (მისი ნათარგმნი **ლეონარდო და ვინჩისეული** იგავების აღმოჩენა ნამდვილი სიურპრიზი იყო ჩვენთვის), **ნათია მერებაშვილი** (რომლის ძალისხმევითაც ქართველ ბავშვებს ორიგინალიდან ნათარგმნი **ანდერსენისეული** ტექსტების წაკითხის შესაძლებლობა მიეცათ), **ბაკურ სულაკაური**, **ტუვე იანსონის** სამყაროში მოგზაურობა ხელმისაწვდომი რომ გახდა ქართველი მკითხველისთვის. თუმცა მისი წვლილი ანთოლოგიაში ამით როდი ამოიწურა – სპეციალურად ამ კრებულისთვის **ასტრიდ ლინდგრენის** მოთხრობა „**უკრავს ჩემი ცაცხვი, გალობს ჩემი ბუღბუღი**“ თარგმნა, რაც ნამდვილი საჩუქარი იქნება ლინდგრენის თაყვანისმცემლებისთვის.

„მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიის“ ორიგინალურობა არაერთი სხვა მთარგმნელის დამსახურებაცაა: **მზია ერისთავის**, **თამარ ბაბუაძის**, **მედეა დიდებულიძის**, **თამარ ხოსრუაშვილის**, **ნატა ბალავაძის**, **გიორგი გოკიელის**, **გიორგი დოლიძის**, **ნათელა ჩიგოგიძის**, **ციცო ხოცუაშვილის**, **მაია ნათაძის**, **ანი მოსულიშვილის**, **გრიგოლ თარაშვილის**, **დავით ბალიაშვილის**, **სოფო ბერიასი...** აქ აღმოაჩენთ **ჯემალ ქარჩხაძისა** და **დავით წერეთლის** ერთობლივად ნათარგმნ **ძმები გრიმების** ზღაპრებსა და **რადიარდ კიპლინგის** „**თავის ნებაზე მოსეირნე კატას**,“ ამონარიდებს **თამარ ტაბახმელაშვილის** ნათარგმნი, ყველა ბავშვისთვის საყვარელი „**ვაფლის გულებიდან**“ და კიდევ ერთ დებიუტს – **სოფო ქარჩხაძის** ნათარგმნ **უზოპეს** იგავებს.

ანთოლოგიაში **უზოპედან მარია ფარიმდე** უცხოელი ავტორების მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი: **მარკ ტვენისა** და **ო. ჰენრის** დახვეწილ იუმორს, **რეი ბრედბერის**, **ტუვე იანსონისა** და **რადიარდ კიპლინგის** გამოგონილი სამყაროები ენაცვლება; **ლეონარდო და ვინჩისა** და **უზოპეს** ქვეტექსტებს – **ანდერსენის**, **ოსკარ უაილდისა** და **ალექსანდრე დიუმას** კლასიკური ზღაპრები; გულიანად გაგაცინებთ **ბარონ მიუნჰაუზენის**, **ჭკვიანი გრეტელისა** და **პატარა მუკის** გულუბრყვილო ტყუილები; შეიტყობთ, ვინ როგორ უფრთხილდება საიდუმლოს და ფლანგავს სურვილებს; გაგაოცებთ **ღირშესანიშავი შუმხუნას** უსაზღვრო ეგოცენტრულობა და ობოლი **მალინის** უზომო გულისხმიერება; იმსჯელებთ როგორ უნდა მოიქცეს **ჰემული** თუ **სნუსმუმრიკი**, როდესაც მარტო ყოფნის დაუოკებელი სურვილი და პასუხისმგებლობა ერთნაირი ძალით ებრძვით; აუცილებლად შეიყვარებთ **ბეატრიქს პოტერის** უკეთილშობილეს **გლოსტერელ მკერავს** კეთილი წრუწუნებითა და ექსცენტრული კატა **სიმპკინით**, ასევე **ჯემაიმა ტყაპუნას**, რომელიც **ბატი ტასიკოს** პროტოტიპი გახლავთ.

მსოფლიოში სახეგანთქმული საბავშვო ავტორების სრული სპექტრი რომ წარმოგვედგინა, მათი რომანებიდან რამდენიმე თავი შემოგთავაზეთ. წარმოუდგენელი იქნება, დიდმა თუ პატარამ **ლუის კეროლის „ჩაის სმა გიჟური“** წაიკითხოს და არ დაინტერესდეს რა ელოდება **ელისს** პატარა დერეფნის შემდეგ გადამლილ ულამაზეს ბაღში; დაასრულოს **ფრენკ ბაუმის „თათბირი დეჭიბთან“** და არ მოისურვოს **დოროთისთან** ერთად ზურმუხტ-ქალაქამდე მიმავალი, ყვითელი აგურით მოკირწყლული გზის ბოლომდე გავლა; განიცადოს საკუთარ სახლში დაბრუნებასთან დაკავშირებული ემოციები და ბოლომდე არ გაჰყვეს მოხუც **წყლის ვირთხასა** და **ბიძია თხუნელას** სასიგნალო სურნელებით გაჯერებულ გზებზე; **ჯეიმზ მეთიუ ბარის** პიტერ პენის თავგადასავლებისკენ კი „**პიტერის შემოჭრა**“ და „**ჩრდილი**“ გიბიძგებთ.

ამრიგად, კრებული ერთგვარი გზამკვლევიცაა – ბევრ საინტერესო წიგნამდე მიგიყვანთ და იმ თავშესაქცევ მოგზაურობაში ჩაგიტრევთ, უფროსებიც სიამოვნებით რომ გამოგყვებიან. მოგზაურობა კი სად აღარ გელით: ხმლების, პარიკების, ყვავილებით მოქარგული და გვერდებზე გაშლილი კამზოლების ეპოქაში, მთვარეზე, ყველის კუნძულზე, პლანეტა ვენერაზე ადამიანების დაარსებულ კოლონიაში, მუმინების ხეობაში, შავი ღედალისა და ქონდრისკაცების მიწისქვეშა სამეფოში, ჩრდილოეთის ორმოცდამეათე განედისა და დასავლეთის მეორმოცე გრძედის კვეთაზე, თოვლით გადათეთრებულ, უმძიმეს გზებზე და პირველყოფილი ადამიანების გამოქვაბულშიც კი, თმებგაშლილი ქალი მისნური სიმღერებით ცხოველებს რომ იმინაურებს.

წიგნი პაზლივით შეერთდა და შეივსო, საბოლოოდ კი სახელმძღვანელოსავით შეიკრა. დარწმუნებული ვარ, ბევრ მშობელსა და მასწავლებელს გაუწევს სამსახურს. „მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ ნებისმიერი გემოვნების მკითხველი მიაგნებს სათავისო საკითხავს – გადამლისთანავე დარწმუნდებით, რომ მისი ადგილი სწორედ თქვენს ბიბლიოთეკაშია.